TEZAUR LITURGIC

15 NOIEMBRIE

ACATISTUL SF.MUCENICI GURIE,SAMONA ŞI AVIV DE LA EDESA SIRIEI

TBILISI,2000

დაუჯდომელი საგალობელი წმიდათა მოწამეთა - გური, სამონ და აბიბოსი

კონდაკი 1

რჩეულნო სასწაულთმოქმედნო ქრისტესნო და წმიდისა სარწმუნოებისა აღმსარებელნო გური, სამონ და აბიბო, ზნეკეთილნო, ხსენებისა თქვენისა ქებისა გალობითა პატივისმცემელნი ვითარცა ქრისტიანთა მეოხთა და ტანჯულთა მფარველთა და კადნიერების მქონებელთა წინაშე ღმრთისა, გიგალობთ თქუენ. ყოვლისა ჭირისა და ზედამოსვლისაგან გვიხსენით ჩუენ, სარწმუნოებითა და სიყვარულით მხმობელნი ესრეთ: გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

იკოსი 1

ხორცითა ანგელოსნო და სამებისა წმინდისა სწორნო რიცხვითა, ღმრთისა მიმართ მხურვალითა სიყვარულითა კერპნი დაამხენით, სარწმუნოებაჲ ქრისტესი განამტკიცენით, სამებაჲ წმიდაჲ განადიდენით, რისთვისცა მაქებელნი ღუაწლისა თქვენისანი გიხმობთ ესრეთ:

გიხაროდენ, ლაპმარნო ღმრთისმოსაობისანო;
გიხაროდენ, მამხილებელნო უწმინდურებისანო;
გიხაროდენ, განმამტკიცებელნო ქრისტეს
სარწმუნოებისაო;
გიხაროდენ, სვეტნო ღმრთისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, სასოო და მეოხნო მართალთანო;
გიხაროდენ, ზარდამცემნო და მომწყვლელნო
ორგულთანო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის
ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 2

ედესისა ქალაქისა ერისა უწმინდურებისა მხილველნი
გური და სამონ უდაბნოსა შინა განერნეს მათ,
ილტვოდნენ მთავრისაგან ამის სოფლისა და
საცდურისა და გულსმოდგინებითა მსახურებდნენ
ღმერთსა, დღისითა და ღამით
მგალობელნი: ალილუია.

იკოსი 2

ბრძენისა გონებისა მქონებელნო წმიდანო მოწამენო,
მარადის მოღუწენო სადიდებელად ღმრთისა,
წარმართთა უწმინდურებისა მამხილებელნო,
სიმართლისა გზასა წარუმართებთ მეძიებელთა
ჭეშმარიტებისასა და მრავალთა მერყევსა მოიყვანებთ

ჭეშმარიტისა ღმრთისა მომართ, რისთვისცა გიხმობთ ესრეთ:

გიხაროდენ, დამნერგველნო ჭეშმარიტისა ღმრთისთაყვანისცემისაო;
გიხაროდენ, აღმომფხვრელნო დემონთა მსახურებისაო;
გიხაროდენ, მამხილებელნო წყვდიადისა უწმიდურებისაო;
გიხაროდენ, დამამხობლენო საცთურისა კერპთაო;
გიხაროდენ, აღმსარებელნო ჩინებულნო ქრისტესნო;
გიხაროდენ, ლამპარნო მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 3

კურთხეულნი ძალითა მაღლისათა წმიდანი მოწამენი არა შეუდრკენ მდევნელთა წმიდისა სარწმუნოებისათა, ნებად უწმიდურისა ანტონიანესი არად შერაცხეს და სარწმუნოებად ქრისტესი განადიდეს ხმითა მაღლითა, რისთვისცა დილეგსა შინა შთაგდებულნი ხმობდეს ღმრთისა მომართ: ალილუია.

იკოსი 3

ქრისტეს მიმართ მქონებელნო სარწმუნოებისა უფროის ანდამატისა მტკიცისა და ძალითა მისითა აღჭურვილნო, სიმხნით დამთმენელნი იყუენით საკვრელთა და თვით სიკუდილისაცა, წმიდანო მოწამენო, ამისთვისცა ესევითარისა მხნებისა თქუენისა მაქებელნი, გადიდებთ თქუენ ესრეთ:

გიხაროდენ, აღმსარებელნო ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაო;
გიხაროდენ, მემკვიდრენო ზეცისა სასუფევლისაო;
გიხაროდენ, საქებელნო მოწამეთანო;
გიხაროდენ, ტანჯვათა დამთმენელნო დიდებულნო;
გიხაროდენ, სიმტკიცენო წმიდისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, განმამშვენებელნო ქრისტიანთა ერისაო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 4

მღელვარეთა ზრახვათა აღზავებისა მიერ შეპყრობილმან უწმინდურმან მეფემან ლიკინიისამან დევნა მკსინვარეჲ აღძრა ქრისტიანთა ზედა, ხოლო შენ, აბიბო ტანჯვათადამთმენელო, არა შეუდერკ მას და ხმობდი სარწმუნოებითა ქრისტეს ღმრთისა მომართ: ალილუია.

იკოსი 4

ესმა რა ღწვაჲ შენი მეფეს ლიკინიისასა, ღირსადსასწაულთმოქმედო აბიბო და აღმსარებლობაჲ მტკიცეჲ სარწმუნოებისა შენისა, გულისწყრომითა განძვინებულმან ინება მოკიდინებაჲ შენი, ვითარცა წინააღმდგომისა სამეუფოჲსა მისისა, ხოლო შენ, მხილველმან ესევითარმან, ვნებანი თავს ისხენ და ცეცხლითა დაწვაჲ დაითმინე სიხარულითა, რისთვისცა განკვირვებულნი დიდითა მხნებითა შენითა, გადიდებთ ესრეთ:

გიხაროდენ, შეუდრეკელო დამცველო ქრისტეს სარწმუნოებისაო;
გიხაროდენ, უძლეველო მხედარო ქრისტესო;
გიხაროდენ, ძელსა ზედა დამოკიდებულო განმპყრობელისათვის ხელთა თვისთა ჯვარსა ზედა;
გიხაროდენ, დაჭრილო ბრჭყალითა რკინისათაო;
გიხაროდენ, ნუგეშინისმცემელო მწუხარეთაო;
გიხაროდენ, მსწრაფლშემსმენელო ყოველთა ჭეშმარიტებისა მომართ მოსწრაფეთაო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 5

ზეცისა მყარსა ზედა ღმრთივმავალსა ვარსკვლავისა მობაძავ იქმენით, წმიდანო მოწამენო, ერისა უწმინდურებისა განმანათლებელნო და გზისა მომართ ჭეშმარიტებისასა მრავალთა მომყვანებელნო, ამისთვისცა ღმრთისმოსაობითა პატივისმცემელნი ხსენებისა თქუენისა, მადლობით ვუგალობთ ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 5

ედესისა ქალაქისა ერმან, მხილველმან მრავალთა სასწაულთა, რომელნი იქმნებოდეს ლუსკუმისაგან წმიდათა მოწამეთა გური, სამონ და აბიბოსითა, ძლიერად განიხარეს და ყოვლითა გულითა ადიდებდეს უფალსა და ჩუენცა პატივისმცემელნი წმიდისა ხსენებისა თქუენისანი, წმიდანო მოწამენო, ლმობიერად გიხმობთ ესრეთ:

გიხაროდენ, მეოხნო უმართლოდ დევნულთაო;
გიხაროდენ, მეგობარნო ქრისტეს ერთგულთა მონათაო;
გიხაროდენ, მფარველნო საკვრელთა და საპყრობილეთა შინა მყოფთაო;
გიხაროდენ, განმაბრძნობელნო მდევნელთა და მჩაგვრელთაო;

გიხაროდენ, ნუგეშინისმცემელნო მგლოვარეთაო;
გიხაროდენ, დამხსნელნო სიკუდილისაგან
კადნიერისა და სასტიკისაო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის
ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 6

სიბრძნით მიმღებელნი მაღლით მადლისათა
განსაცდელსა შინა მყოფთა მეოხ ექმენით,
ყოვლადქებულნო და ყრმაჲ იგი მწარისა
სიკუდილისაგან იხსენით, წმიდანო, ჭეშმარიტად
ხართ თქუენ დიდებანი ედესისა ქალაქისა და
სიხარული ყოვლისა სოფლისა, რისთვისცა
ვუგალობთ ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 6

მიხსნენ ჩუენ მონობისაგან მტერისა, იესო
ცხოვრებისმომცემელო, მოწამეთა შენთა თხოვითა
გევედრებით, რაჲთა სულიერთა და ხორციელთა
ვნებათა მონობისაგან ხსნილნი ვაქებდეთ მათსა
მსწრაფლსა შეწევნასა, ვითარცა დედაკაცი იგი ქმრისა
მიერ დაბეჭდული საფლავსა შინა და
მსწრაფლშეცნობითა დასხნილი, მის თანავე გიხმობთ
ჩუენცა ესრეთ:

გიხაროდენ, სიკუდილისაგან დამხსნელნო
უბრალოჲსა მის დედაკაცისაო;
გოხაროდენ, მტანჯველთა სიმხეცისა
დამთრგუნველნო საკვირველითა ხსნითა მისითაო;
გიხაროდენ, მამხილებელნო ბოროტისა მის კაცისა
სასტიკისა საქმისაო;
გიხაროდენ, მისთვისცა სარწმუნოებისა და
ქრისტიანთა ღმრთისა სარწმუნოებისა მასწავლელნო;
გიხაროდენ, ჭირვეულთათვის მომცემელნო
წყალობისაო;
გიხაროდენ, დაუძინებელნო მცუელნო სახელისა
თქუენისა მომხსენებელთაო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის
ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 7

ინება რა კაცთმოყვარემან ღმერთმან წარმოჩინებაჲ
წყალობისა თვისისა წინაშე ერისა თვისისა,
სასწაულთა აღმომაცენებელნი ხორცნი უხრწნელად
დაიცვნა და მათ მიერ ყოველსა ჟამსა კურნებათა
წყაროთა მიემთხვევიან მხმობელნი
ღმრთისა: ალილუია.

იკოსი 7

ედესისა ქალაქისა ერმან, მხილველმან თქუენმან, მეოხთა ახალთა და საკვირველთა სასწაულთმოქმედთა, აღაშენეს წმიდაჲ ტაძარი მოსახსენებლად თქუენდა და მას შინა დაკრძალეს წმიდანი ნაწილნი თქუენნი, რომელნი აღმოუცენებენ შეწევნასა ყოველთა ტანჯულთა და ჩუენცა მქონებელნი თქვენდა მომართ შეურყეველისა სარწმუნოებისანი, ვხმობთ ესრეთ:

გიხაროდენ, მკურნალნო სულიერთა და ხორციელთა წყლულებათა ჩუენთაო;
გიხაროდენ, განმდევნელნო ეშმაკთა სახელითა უფლისათაო;
გიხაროდენ, კეთილადმახარებელნო სახიერებისა ჭეშმარიტებისაო;
გიხაროდენ, მტვირთველნო ღმრთეებრივისა მადლისაო;
გიხაროდენ, სახელისათვის უფლისა მიმთხვეულნო მრავალთა მწუხარებათაო;
გიხაროდენ, საკვირველად განბრწყინვებულნო შორის წმიდათა მისთაო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 8

საშინელ არს და უცნაურ სმენად ურწმუნოთათვის, თუ ვითარ საკვირველნი საქმენი აღესრულებიან წმიდათა ნაწილთა თქუენთა მიერ: წყლულნი განიკურნებიან, ვნებანი დაიხსნებიან და ჩუენცა მქონებელნი შეურყეველისა სასოებისანი თქუენდა მომართ და მადლობისა შემწირველნი, გიხმობთ სარწმუნოებითა: ალილუია.

იკოსი 8

ყოველთა ქველისმოქმედებითა აღვსებულთა და მათ მიერ და ღმრთისა დიდებითა პატივდებულთა, შეიწყნარეთ, წმიდანო მოწამენო, ლოცვანი მართალთანი, რომელნი პატივს სცემენ წმიდასა ხსენებასა თქუენსა და ისმინეთ ხმობანიცა ესე მათნი:

გიხაროდენ, გლახაკნო სულითა, რამეთუ თქუენი არს სასუფეველი ცათა;
გიხაროდენ, მგლოვარენო გულითა, რამეთუ ნუგეშინისცემულ იქმენით;
გიხაროდენ, მშვიდნო, რამეთუ დაიმკვიდრებით ქუეყანაჲ;
გიხაროდენ, მშიერნო და მწყურვალნო სიმართლისათვის, რამეთუ განძეღით;
გიხაროდენ, მოწყალენო, რამეთ მოიხვეჭეთ

წყალობაჲ;
გიხაროდენ, წმიდანო გულითა, რამეთუ იხილენით უფალი;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 9

ზედამოსლვანი ყოველნი, მოწავნულნი ედესისა ქალაქსა ზედა, დახსენით, წმიდანო მოწამენო, ნუ დაგვიტევებთ ჟამსაცა ამას ჩუენ მდაბალთა და ცოდვილთა ამათ, არამედ ყოველნი ერნი ამის სამკვიდროჲსანი მართლმადიდებლობასა და ერთსა ზრახვასა შინა განამტკიცენით, რაჲთა ერთითა პირითა და ერთითა გულითა ვხმობდეთ განმადიდებელისა თქუენისა ღმრთისა მიმართ: ალილუია.

იკოსი 9

რიტორნი ენამჭევრნი, ვითარცა თევზნი უხმონი გხედვენ თქუენ, წმიდანო მოწამენო: გულისხმისა ვერმყოფელნი, თუ ვითარ იყვენით სულითა მაღლითა უდაბნოსა შინა, ხოლო დაუძინებელითა ღუაწლისა მოღვაწებითა ეგენით შორის კაცთა და ჩუენცა მოხარულნი, რამეთუ მოვიხვეჭეთ ესევითარი

მოძღვარნი და მეოხნი, გადიდებთ თქუენ, მხმობელნი ესრეთ:

გიხაროდენ, წინწილანო ღმრთისა სიტყვისანო;
გიხაროდენ, მხურვალნო მეოხნო ჩუენთვის წინაშე ღმრთისა;
გიხაროდენ, განმანათლებელნო იუდეველთა და ელინთაო;
გიხაროდენ, მახარებელნო ღმრთეებისა სამგვამოვანისაო;
გიხაროდენ, მასწავლელნო თვინიერებისა და თავშეკავებისაო;
გიხაროდენ, მამხილებელნო ცრუთა და მპარავთაო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 10

დაღაცათუ ედესისა ქალაქისა ერნი გონიერისა მის მგლისანი იხსენით და მტკიცედ შთააგონებდით მათ დადგრომასა ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ზედა, რაჲთა არა შეუდრკენ სასჯელსა მტრისასა, არამედ ჟამსა მწუხარებისა და ზედამოსვლისასა ჰმადლობენ ღმერთსა, მგალობელნი მისდა: ალილუია.

იკოსი 10

ზღუდე მყარი და საფარველი სანდო ხართ თქუენ, წმიდანო მოწამენო, ყოველთათვის, რომელნი თქუენდა მოილტვიან მვედრებელნი მწრაფლშემწეობისა თქუენისანი, ამისთვისცა ლმობიერებითა გულისათა ვხმობთ თქუენდა მომართ:

გიხაროდენ, სიხარულნო ყოველთა მწუხარეთანო;
გიხაროდენ, ნავთსაყუდელნო და მხსნელნო ყოველთა ჩაგრულთა და პყრობილთანო;
გიხაროდენ, მეოხნო ქვრივთა და ობოლთანო;
გიხაროდენ, ერესთა და განწუალებათაგან დამცუელნო;
გიხაროდენ, რამეთუ ყოველნი ცოდვილნი ღუაწლითა თქუენითა განკვირდებიან;
გიხაროდენ, რამეთუ ღმრთისმოსავნი ყოველნი ხსენებითა თქუენითა განმხიარულდებიან;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 11

სამადლობელისა გალობისა შემწირველნი უფლისა მიმართ, გევედრებით თქუენ, მხურვალენო მეოხნო ჩუენნო, რაჲთა არა მარადის განგვეშორნეთ ცოდვათა

ჩუენთათვის, არამედ წყალობაჲ ყოველთა უფლისაგან ითხოვეთ მგალობელთა ამათთვის: ალილუია.

იკოსი 11

წმიდათა მოწამეთა სამებისა - სხივცისკროვანისა განმადიდებელნი, მართალნო, განვერნებით ჩუენ სასჯელსა და შულლსა ყოველსა ჟამსა ამის ცხოვრებისასა, მოვიზღუდნეთ თავნი ჩუენნი მართლმდიდებლობასა შინა შფოთისა და განწვალებისაგან და ერთისა სულისა მშვიდობისა თანა დამმარხველნი სიღრმით გულისათ ვხმობდეთ ესრეთ:

გიხაროდენ, ხმამაღალნო საყვირნო სახარებისა უწყებისაო;
გიხაროდენ, ტკბილხმოვანნო ბარბითნო მაცხოვნებელისა ქადაგებისაო;
გიხაროდენ, სიმართლისათვის მებრძოლნო მტკიცენო;
გიხაროდენ, შეურყეველნო მომსვრელნო სიცრუისანო;
გიხაროდენ, მშვიდობისა და მადლისა მომღებელნო ზედა ღმრთისმოსავთა ოჯახთაო;
გიხაროდენ, სიმკაცრით დამსჯელნო სასტიკთა და უსჯულოთა მეუღლეთაო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 12

ღმრთისა მიერ თქუენდა მოცემულისა მადლისა მხილველნი ვდღესასწაულობთ ხსენებასა თქუენსა, წმიდანო მოწამენო, მხურვალითა ლოცვითა მოლტოლვილნი მტკიცისა შეწევნისა თქუენისა მომართ, წინაშე პატიოსნისა ხატისა თქუენისა, ვითარცა უბრძოლველისა ზღუდითა დაცულნი, რისთვისცა გაქებთ თქუენ, ქრისტესთვის ტანჯვათადამთმენელნო და გულსმოდგინებითა ვუხმობთ ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 12

მგალობელნი საკვირველისა ცხოვრებისა და მოწამეობრივისა აღსასრულისა თქვენისანი, გევედრებით თქვენ, ქრისტესათვის ტანჯვათდამთმენელნო, გური, სამონ და აბიბო, გვექმენით ჩვენ კეთილად შემწე ყოველსა შინა, გვაკურთხენით ჩუენ მშვიდობითა და სიყვარულითა და მოგვანიჭეთ ჩუენ სარწმუნოებაჲ შეურყეველი, ცხოვრებისა სიწმიდეჲ და შიში ღმრთისაჲ, რაჲთა ყოველნი რომელნი ვეძიებთ სულიერსა მშვიდობასა, სიხარულით ვხმობდეთ თქვენდა მომართ:

გიხაროდენ, რამეთუ განდიდდა სახელნი თქუენნი შორის თვით ურწმუნოთასა;

გიხაროდენ, მხუხარეთათვის მომცემელნო ნუგეშინისცემისა და სიხარულისო;
გიხაროდენ, განმაკვირვებელნო და შემაშინებელნო მჩაგვრელთაო;
გიხაროდენ, სასტიკისა სიკვდილისაგან დამხსნელნო დედაკაცისა უბრალოჲსაო;
გიხაროდენ, სამართლად დამსჯელნო ბოტორისა ქმრისა მისისაო;
გიხაროდენ, გური, სამონ და აბიბო, ქრისტესთვის ტანჯვათა დამთმენელნო და ჩაგრულთა მფარველნო.

კონდაკი 13

ჰოჲ, წმიდანო ტანჯვათა დამთმენელნო ქრისტესნო გური, სამონ და აბიბო, შეიწირეთ სადიდებელი გალობაჲ ესე ჩუენი და შემსმენელთა გულისმოდგინეთა ვედრებათა ჩუენთა, მხურვალითა შუამდგომელობითა წინაშე ღმრთისა, განგვათავისუფლეთ ჩუენ ყოვლისაგან ბოროტისა, ბრძოლათა და უთანხმოებათაგან და ყოველთა მძვინვარეთა ჭირთაგან და სნეულებათა, რაჲთა სიყვარულითა პატივისმცემელნი თქუენნი, მარადის ვხმობდეთ ღმრთისა მიმართ: ალილუია.